უძველესი სამიწათმოქმედო მეთოდების რეკონსტრუქცია და ეთნობოტანიკური ანალიზი საქართველოში (სამხრეთ კავკასია)

ნინო ტორიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე მოსულიშვილი, ასოცირებული პროფესორი, Cécile Brun, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

სარჩევი

შესავალი....4

შერეული თესლით თესვის პრაქტიკა....5

უძველესი სამიწათმოქმედო პრაქტიკების აღდგენისათვის ფუნქციონალური მახასიათებლების მეშვეობით ბაზის შექმნა....5

კვლევის დიზაინი და ამოცანები....11

კვლევს ობიექტი და მეთოდები....12

საკვლევი ტერიტორია....12

საველე სამუშაოები....13

მონაცემების მომზადება....14

ლაბორატორიული სამუშაოები....15

მონაცემების დამუშავება....15

შედეგები....16

უძველესი სამიწათმოქმედო მეთოდების რეკონსტრუქციისათვის ბაზის შექმნისათვის ძირითადი მონაცემების შეგროვება....16

ბაზის შედგენა უძველესი სამიწათმოქმედო მეთოდების რეკონსტრუქციისათვის....18

საკვლევ ტერიტორიაზე შეგროვებული მონაცემების ანალიზი....19

შერეული თესვის შესახებ შეგროვებული მონაცემები....25

დისკუსია....28

ნათესებში აღმოცენებული სარეველებისა და მათი მახასიათებლების შესწავლა....28

უძველესი მეთოდის - ქერდიკას შერეული თესლით თესვის ეთნობოტანიკური ცოდნის ანალიზი....30

მადლობა....33

გამოყენებული ლიტერატურა....34

დანართები....38

აბსტრაქტი

საქართველოში მიწათმოქმედების უძველესი ისტორია 8,000 წლის წინანდელი არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება. უძველეს ნიმუშებში აღმოჩენილია ხორბლის, ქერის და სხვა კულტურების მარცვლები, სხვა მნიშვნელოვან არტეფაქტებთან ერთად. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ხორბლების გავრცელება საქართველოში - აქ 15 სახეობას ვხვდებით, მათ შორის 4 ენდემურ სახეობას.

ხორბლებთან დაკავშირებით საქართველოს ისტორიაში მრავალ წეს-ჩვეულებასა და პრაქტიკებს ვხვდებით, მათ შორის აღსანიშნავია ქერისა და დიკას (ქერდიკას) შერეული თესლით თესვის კულტურა, რომელიც არაერთი ხელსაყრელი მახასიათებლით გამოირჩევა. ქერისა და დიკას შერეული ნათესი უხვმოსავლიანია, გვალვაგამძლეა, დაავადებების მიმართ მდგრადი და აღებული მარცვლისაგან მაღალი ხარისხის ფქვილი და პური იწარმოება.

მნიშვნელოვანი და საინტერესოა უძველესი სამიწათმოქმედო მეთოდების შესწავლა და აღდგენა. ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული მეთოდი ამისათვის არის ფუნქციონალური მახასიათებლების მეშვეობით ბოტანიკური გამოკვლევების ინტერპრეტაცია (FIBS – functional Interpretation of Botanical Surveys).

კვლევის განმავლობაში, საველე, ლაბორატორიულ და სამაგიდო სამუშაოების მეშვეობით მოხდა მარცვლოვანი კულტურების ნათესების შესწავლა, ნათესებში აღმოცენებული სარეველა მცენარეების, მათი ფუნქციონალური მახასიათებლების შესწავლა და ანალიზი.

ქერდიკას მოყვანის და თვისებების გამოსაკვლევად ჩატარდა ექსპერიმენტი საცდელ ნაკვეთზე და ასევე განხორციელდა ადგილობრივი მაცხოვრებლების ეთნობოტანიკური ცოდნის მოძიება, ჩაწერა, დოკუმენტირება.